ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. თებერვლის 24 № 2 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

13. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტისა.

14. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ.

15. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო-იურიდიული განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო-იურიდიული განყოფილების შესახებ.

16. დადგენილება ს. კ. ს.—შავ-ჭირთან ბრძოლაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის პირთა და მათი ოჯახის წევრთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

17. დადგენილება ს. კ. ს.—7 საათის სამუშაო დღის პრაკტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად რესპუბლიკანური კომისიის მოწყობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატის საბჭოს დადგენილებანი.

13. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

თანახმად „მუშათა საბინაო მშენებლობისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულებისა“ (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 36 №-რი, მუხ. 369) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 1-ს დადგენილებისა—„მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-15 №-რი, მუხ. 178)—საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი „დებულება საქართველოს სსრ შრომის სახ. კომისარიატთან არსებული მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტისა“.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. თებერვლის 7-ის თარიღის დადგენილებით დამტკიცებული (საქართველოს სსრ კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 17) დებულება—საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა საბინაო კოოპერატიული მშენებლობის დამხმარე კომიტეტის შესახებ—გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. თებერვლის 4.
ტფილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტისა.

1. მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტი არსდება საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან—შრომის სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით.

2. დამხმარე კომიტეტის შედგენილობაში შედიან: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსი, ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს საბინაო კოოპერაციის კავშირის წარმომადგენელნი.

შენიშვნა. კომიტეტს უფლება აქვს მიიწვიოს თავის სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად სათათბირო ხმის უფლებით სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დამხმარე კომიტეტს უფლება აქვს მისთვის დაკისრებული მიზნების ადგილობრივ განსახორციელებლად მოაწყოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა ქალაქში ადგილობრივი კომიტეტი იმ შედგენილობით, რასაც დაამტკიცებს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული დამხმარე კომიტეტი. ადგილობრივი კომიტეტები მოქმედობენ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული დამხმარე კომიტეტის ინსტრუქციების თანახმად.

4. რესპუბლიკანური დამხმარე კომიტეტის მიზანს შეადგენს:

ა) გამოარკვიოს, სათანადო სტატისტიკური ცნობების შეკრეფითა და საბინაო პირობების ერთდროული სპეციალური გამოკვლევით, რამდენად დიდია საქართველოს სსრ-ში მოთხოვნილება მუშათა ბინებისა;

ბ) აღნუსხოს მუშათა საბინაო მშენებლობისათვის გადარიცხული თანხები;

გ) აღნუსხოს და თვალყური ადევნოს იმ სპეციალური და სხვა თანხების თავის დროზე შეკრეფასა და პირდაპირი დანიშნულებისათვის მოხმარებას, რაც გადაირიცხება მუშათა საბინაო მშენებლობის რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ფონდებში, აგრეთვე საწარმოთა ფონდებშიაც;

დ) გაანაწილოს მუშათა საბინაო მშენებლობის რესპუბლიკანურ ფონდში გადარიცხული თანხები;

ე) შეიმუშაოს და არსებული წესისამებრ გაატაროს ყველა ის კანონი, რაც კი მუშათა საბინაო მშენებლობას შეეხება;

ვ) გამონახოს ისეთი ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს საბინაო მშენებლობის საქმის გაადვილებას, სწრაფად შესრულებას და გაიაფებას;

ზ) შეიმუშაოს მუშათა საბინაო მშენებლობის ყოველწლიური გეგმა და, საგეგმო კომისიის მეშვეობით, წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს.

შენიშვნა. ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვალდებულია თავისი საბინაო მშენებლობის გეგმა და ანგარიში წარუდგინოს დამხმარე კომიტეტს.

5. საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული დამხმარე კომიტეტი საერთო ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას გაუწევს ადგილობრივ დამხმარე კომიტეტებისა და საბინაო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის მოქმედებას და აგრეთვე საბინაო საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა მუშაობას, როგორც უშუალოდ, ისე მათი შენაერთების მეშვეობით, მოითხოვს მათგან გეგმებს, პროგრამებს, მოქმედების ანგარიშს და წარმართავს მათ მუშაობას.

6. საბინაო მშენებლობის მთელი ფონდი, რომელიც შედგენილ იქნება თანახმად სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივნისის 15-ის დადგენილებისა „მუშათა საბინაო კოოპერატიული მშენებლობის ხელის შემწყობ ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. 36 №-რი), განაწილდება გრძელვადიანი და შეღავათიანი სესხის პრინციპზე საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა და მუშათა საბინაო მშენებლობის საქმის განმახორციელებელ ორგანიზაციებს შორის და დაიხარჯება დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ დამხმარე კომიტეტს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

8. საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული დამხმარე კომიტეტისა და ადგილობრივი კომიტეტების ტეხნიკური აპარატი ინახება მუშათა საბინაო მშენებლობის რესპუბლიკანური და ადგილობრივი ფონდებიდან გადადებული სახსარით—კუთვნილებისამებრ.

---

14. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დებულების მე-9 მუხლის თანახმად, რომელი დებულებაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის იანვრის 12-ის თარიღისა და 2 №-ის დადგენილებით („მოამბე" 1925 წ. № 1—2)--საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემოაღნიშნული დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ნოემბრის 25-ის თარიღისა და 39 №-ის დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ—გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართ. მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. თებერვლის 8.
ტფილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას დაეკისრება—განაგოს საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს და აგრეთვე ამ ორგანოთა ყველა მუდმივი და დროებითი კომისიის საქმეები, გარდა სახელმწიფო საგეგმო კომისიის საქმეებისა.

კერძოდ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა განაგებს:

ა) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მუშაობის გეგმის პროექტებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის მოქმედების ანგარიშშედგენის საქმეს;

ბ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში განსახილველად შემოსულ საქმეთა მომზადებას, აღნიშნულ ორგანოთა მიერ განსახილველი საკითხების დაინტერესებულ უწყებებთან და დაწესებულებებთან შეთანხმებას და ამ საკითხების სათანადო ინსტანციებში წარმართვას მათ გადასაწყვეტად;

გ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს და მათი თავმჯდომარისა და ამ უკანასკნელის მოადგილეების სპეციალურ მინდობილობათა აღსრულების საქმეს;

დ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ეკონომიური საბჭოს, სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების მიერ ხელისუფლების საერთო-საკავშირო, ამიერ კავკასიის ფედერატიული და რესპუბლიკანური უზენაესი ორგანოების მინდობილობათა თავის დროზე და სისწორით აღსრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა ხმარების საქმეს;

ე) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებათა აღსრულების საქმეს და ამ დადგენილებების თავის დროზე და სისწორით განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა ხმარების საქმეს;

ვ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მიერ მიღებულ კანონთა და დადგენილებათა ტექსტის რედაქციის საქმეს;

ზ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის კანონთა და დადგენილებათა პერიოდულ ოფიციალურ ორგანოებში გამოქვეყნების საქმეს და ამ აქტების წარმართვის საქმეს სათანადო წესით გამოსაქვეყნებლად „საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში“, რომელსაც სცემს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატი;

თ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს და მათი თავმჯდომარისა და ამ უკანასკნელის მოადგილეების მიერ მინდობილი საკითხების შესახებ იურიდიული დასკვნის მიცემის საქმეს;

ი) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოსათვის და აგრეთვე მათი თავმჯდომარისა და ამ უკანას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნელის მოადგილეებისათვის სახალხო კომისარიატებისა, მათთან გათანასწორებული ცენტრალური რესპუბლიკანური დაწესებულებებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოქმედების შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდების საქმეს—მიღებული მასალის მიხედვით;

კ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მოქმედების ბეჭდვითი ორგანოებში გაშუქებისა და მთავრობის მასალის გამოცემის საქმეს;

ლ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველთს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოსათვის და მათთან არსებული ორგანოებისათვის ტეხნიკური და სამეურნეო მომსახურეობის გაწევის საქმეს.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის სათავეში სდგას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და რომელსაც აქვს სათათბირო ხმის უფლება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სხდომებში.

საქმეთა მმართველის უახლოესი თანაშემწე არის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს გამგე, რომელსაც აქვს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილის უფლება ყველა იმ საკითხში, რაც სამდივნოს გამგეობლობის საგანს ეკუთვნის.

სამდივნოს გამგეს დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო; საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სხდომებში სამდივნოს გამგეს აქვს სათათბირო ხმის უფლება.

4. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომასართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველს უფლება აქვს:

ა) წარმართოს, კანონით დადგენილი წესისამებრ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს ყველა საქმე, მისცეს ხოლმე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უწყებებსა და დაწესებულებებს, სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის დირექტივის თანახმად, სათანადო განმარტება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მაერ განსახილველი საკითხების შემუშავებისა და შეთანხმების შესახებ, მოსთხოვოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უწყებებსა და დაწესებულებებს საჭირო მასალა და ანგარიში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებათა შესრულების შესახებ, დააბრუნოს ესა თუ ის საქმე და კანონპროექტი დამატებითი შემუშავებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოიწვიოს ხოლმე საუწყებათაშორისო და პერსონალური კომისიები და თათბირები საქმეთა მმართველობის მუშაობის პროცესში აღძრული საკითხების განსახილველად;

გ) განაგოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთაღრიცხვით მიღებული კრედიტები;

დ) დასდოს ყოველგვარი სამოქალაქო გარიგება, რაც საჭიროა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სამეურნეო მომსახურეობისათვის.

ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტში აღნიშნული უფლება ეძლევა აგრეთვე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს გამგეს, როგორც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილეს,—იმ საკითხების სფეროში, რაც სამდივნოს გამგებლობის საგანს მიეკუთვნება.

5. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შედგენილობაში შედის:

ა) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნო, რომელიც შესდგება საფინანსო-ეკონომიური, საკონტროლო-საინფორმაციო და სარედაქციო-იურიდიული განყოფილებებისაგან და საოქმო და საიდუმლო ნაწილებისაგან;

ბ) საერთო განყოფილება, რომელიც შესდგება კანცელარიისა, საერთო რეგისტრატურისა, პირადი შედგენილობის ნაწილისა, მანქანით გადამწერთა ბიუროს და არქივისაგან;

გ) ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება, რომელიც შესდგება მატერიალური ნაწილისა, სატრანსპორტო ნაწილისა—გარაჟის, სტამბისა და კომენდატურისაგან;

დ) საანგარიშო-საფინანსო განყოფილება.

შენიშვნა. საერთო, ადმინისტრატიულ-სამეურნეო და საანგარიშო-საფინანსო განყოფილებანი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის უშუალო გამგებლობაშია.

6. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნო და საქმეთა მმართველობის ყველა განყოფილება და ნაწილი შესდგება თანამშრომლებისაგან იმ შტატის მიხედვით, რაც დამტკიცებულ იქნება დადგენილი წესისამებრ.

განყოფილებათა გამგეებს დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ან ნისი მოადგილე, ხოლო დანარჩენ თანამშრომლებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი. სამდივნოს გამგის მოადგილეს და სარედაქციო-იურიდიული განყოფილების გამგეს (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს უფროსი იურისკონსულტი) დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს და მის შედგენილობაში შემავალ განყოფილებათა და ნაწილთა სტრუქტურა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის დანარჩენ განყოფილებათა და ნაწილთა სტრუქტურა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქმეთა მმართველის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებით.

შენიშვნა. სარედაქციო-იურიდიული განყოფილება მოქმედებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების თანახმად.

---

15. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო-იურიდიული განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემოაღნიშნული დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო-იურიდიული განყოფილების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ.
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭოს რესპ. სახ. კომი-
სართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. თებერვლის 8.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო-იურიდიული განყოფილების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებობს სარედაქციო-იურიდიული განყოფილება, რომელსაც დაეკისრება:

ა) განიხილოს, კანონით დადგენილი წესისამებრ წარსამართავად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულების მიერ შემოტანილი ყველა კანონპროექტი, რაც უნდა დაადასტუროს ან დაამტკიცოს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისართა საბჭომ, და აგრეთვე საკანონმდებლო აქტების პროექტები, რომელიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულ იქნება დასკვნისათვის სსრ კავშირის მთავრობისა და ა/კ. სფსრ-ის მთავრობისაგან;

ბ) განიხილოს სათანადო წესისამებრ წარსამართავად საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში შემოსული ყველა მიწერ-მოწერა იურიდიული საკითხების სფეროში;

გ) მოამზადოს ხოლმე მოხსენება კანონპროექტებისა და იურიდიული ხასიათის საკითხების შესახებ, რაც განხილულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში;

დ) შეადგინოს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს წინადადებით და აგრეთვე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების მინდობილობით დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტები და შეუთანხმოს ისინი, არსებული წესისამებრ, დაინტერესებულ უწყებებსა და დაწესებულებებს;

ე) მისცეს ხოლმე იურიდიული დასკვნა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს საქმეთა მმართველობის მიმდინარე მუშაობაში აღძრული საკითხების შესახებ და აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს და მათი თავმჯდომარისა და ამ უკანასკნელის მოადგილეების წინადადებისამებრ;

ვ) საბოლოო რედაქცია გაუკეთოს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულ კანონპროექტებს და აგრეთვე იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რასაც აღნიშნული კანონპროექტების განხილვის დროს მიიღებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო სათანადო შემთხვევაში—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი;

ზ) რედაქცია გაუკეთოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს დადგენილებებს, რათა მათი ტექსტის რედაქცია შეთანხმებულ იქნეს მომქმედ კანონმდებლობასთან და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მიერ წინათ გამოცემულ დადგენილებებთან;

თ) წარმართოს გამოსაქვეყნებლად ოფიციალურ პერიოდულ ორგანოებში სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ხოლო სათანადო შემთხვევაში სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და საქართველოს ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დეკრეტები და დადგენილებანი, თვალყური ადევნოს მა„ თავის დროზე და სისწორით გამოქვეყნებას და აგრეთვე წარმართოს აღნიშნული აქტები დადგენილი წესისამებრ გამოსაქვეყნებლად „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში“.

ი) წარუდგინოს ხოლმე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება იმის შესახებ, რომ საჭიროა მიენდოს სათანადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყებებს—შეიმუშაონ პროექტი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მომქმედ კანონმდებლობის გაუქმებისა, შეცვლისა და დამატების თაობაზე—სსრ კავშირის მთავრობისა და ა/კ. სფსრ-ის მთავრობის სადირექტივო წინადადების გამო;

კ) შეადგინოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს, მათი თავმჯდომარისა ან ამ უკანასკნელის მოადგილეებისა, აგრეთვე საქართველოს სოც. საბჭოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს გამგის დავალებით იურიდიული ხასიათის ყოველგვარი მოხსენება და ქაღალდი;

ლ) შეასრულოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარისა, მისი მოადგილეებისა, საქმეთა მმართველისა და სამდივნოს გამგის სპეციალური მინდობილობა.

2. სარედაქციო-იურიდიული განყოფილების სათავეში სდგას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს უფროსი იურისკონსულტი, რომელიც განაგებს ამ განყოფილებას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს სამდივნოს გამგის საერთო ხელმძღვანელობით და რომელსაც თანამდებობაზე დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

3. სარედაქციო-იურიდიული განყოფილება შესდგება იურისკონსულტებისა, რედაქტორებისა და ტეხნიკური პერსონალისაგან იმ რიცხვით, რაც განსაზღვრულ იქნება სათანადო შტატით.

4. უფროსი იურისკონსულტი ხელმძღვანელობას გაუწევს სარედაქციო-იურიდიული განყოფილების მუშაობას, გაანაწილებს მუშაობას განყოფილების თანამშრომელთა შორის, ინსტრუქტიობას გაუწევს მათ და ცალკე საკითხებს სათანადო შემთხვევაში დასვამს კოლეგიალური განხილვისათვის.

5. უფროსი იურისკონსულტი სარედაქციო-იურიდიული განყოფილების ქვემდებარე საკითხებს მოახსენებს, კუთვნილებისამებრ, სახალხო კომისართა საბჭოს, ეკონომიურ საბჭოს, მათ თავმჯდომარეს ან ამ უკანასკნელის მოადგილეებს, სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველს და სამდივნოს გამგეს.

6. უფროსი იურისკონსულტი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სხდომებში იურიდიული საკითხების შესახებ დასკვნისა და ცნობების მისაცემად; ამ სხდომებში უფროს იურისკონსულტს იურიდიული ხასიათის საკითხების განხილვის დროს აქვს სათათბირო ხმის უფლება.

7. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის ყველა გამოსაქვეყნებელი დადგენილება, ვიდრე იგი წარედგინებოდეს ხელის მოსაწერად სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს და საქმეთა მმართველს, ვიზადასმულ უნდა იქნეს უფროსი იურისკონსულტის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ასეთი დადგენილების მომქმედ კანონმდებლობასთან შეთანხმებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ გამოსაქვეყნებელი დადგენილების ტექსტის საბოლოო რედაქციის დროს უფროსი იურისკონსულტი აღმოაჩენს მომქმედ კანონმდებლობასთან რაიმე შეუთანხმებლობას, რაც სარედაქციო წესით არ შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს, იგი ვალდებულია წერილობით მიაქციოს ამ გარემოებას სამდივნოს გამგის ყურადღება.

8. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს უფროს იურისკონსულტს უფლება აქვს მოსთხოვოს, სამდივნოს გამგის მეშვეობით, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა უწყებას და დაწესებულებას სათანადო მასალებისა და ცნობების წარმოდგენა და აგრეთვე, საჭირო შემთხვევაში, პასუხისმგებელი წარმომადგენელის გამოგზავნა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებათა რედაქციაში მონაწილეობის მისაღებად.

9. უფროს იურისკონსულტს ან მისი რწმუნებით—სარედაქციო-იურიდიული განყოფილების ერთ-ერთ იურისკონსულტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განზრახულებათა განყოფილების სხდომებში იმ კანონპროექტებისა და იურიდიული საკითხების განხილვის დროს, რაც განსახილველად ან დასამტკიცებლად შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში.

---

16. დადგენილება ს. კ. ს.

შავ-ჭირთან ბრძოლაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის პირთა და მათი ოჯახის წევრთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 29-ის დადგენილების თანახმად და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის აგვისტოს 25-ს დადგენილების (იმ პირთა უზრუნველყოფის შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე და რომელთაც შრომის უნარი დაუკარგავთ) დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. აგვისტოს 25-ის დადგენილების 1 მუხლის „გ" პუნქტში აღნიშნულ პირთა კატეგორიებისათვის გათვალისწინებული ნორმები პენსიით უზრუნველყოფისა გავრცელებულ იქნეს სამედიცინო პერსონალის იმ პირებზე, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი შავ-ჭირთან ბრძოლაში მონაწილეობის გამო.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების 1 მუხლის „დ" პუნქტში აღნიშნულ პირთა კატეგორიებისათვის გათვალისწინებული ნორმები პენსიით უზრუნველყოფისა გავრცელებულ იქნეს სამედიცინო პერსონალის იმ პირთა ოჯახის წევრებზე, რომელნიც გარდაიცვალნენ შავ-ჭირთან ბრძოლის დროს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. კომისართა საბ-
ჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კო-
მისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. თებერვლის 11.
ტფილისი—სასახლე.

ოსტატი ძალა 14.ბან.1960
1960 წლის 27 ივლისის №436
ოლგა ივანეს ასული

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. დადგენილება ს. კ. ს.

7 საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად რესპუბლიკანური კომისიის მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის იანვრის 19-ს თარიღისა და მე-4 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის შესრულებისათვის, —7 საათის სამუშაო დღის პრაკტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. ოკტომბრის 15-ს მანიფესტის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1927 წ, 61 №-რი, მუხ. 613), მოეწყოს რესპუბლიკანური კომისია შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარი ამხ. თოდრია და წევრნი: საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ყურულაშვილი და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ჭიჭინაძე.

2. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ კომისიას თავისი მოქმედებისათვის იხელმძღვანელოს 7 საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად არსებული ამიერკავკასიის კომისიის მიერ შემუშავებული დირექტივები.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართ. მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. თებერვლის 15.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 39 №-ში 1928 წ. თებერვლის 16.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 413. ტირაჟი 1.500.